ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №23

ქ. დუშეთი 27 იანვარი 2014 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: ერთის მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტი, რომლის რეკვიზიტებია: მისამართი: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27, ს/კ 229324451, მომსახურე ბანკი _ „ლიბერთი ბანკის" დუშეთის ფილიალი, ბანკის კოდი _ **LBRTGE22**, ა/ა GE74LB0120137474229000 – შემდგომში „შემსყიდველი"

და მეორეს მხრივ: იმედ/შეწარმე „თამარ ფალავანდიშვილს შოროს, რომლის რეკვიზიტებია: ქ. დუშეთი ერისთავის ქ. N 12, ს/კ 16001014387, მომსახურე ბანკი –„ლიბერთი ბანკის" დუშეთის ფილიალი, ბანკის კოდი – **LBRTGE22**, ა/ა GE82LB0112123018431000 - შემდგომში „მიმწოდებელი"

მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მათ შორის ურთიერთობები რეგულირდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9" ბრძანების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის № 47 განკარგულებისა და სხვა მოქმედი საშართლებრივი ნორმების საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1. ხელშეკრულების საგანია: დუშეთის მუნიციპალიტეტში 2013 წელს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადება. (ჩამონათვალი თან ერთვის: დანართი №1).

2.2. შესყიდვის საშუალება: 2014 წლის 14 იანვრის საქართველოს მთავრობის N47განკარგულებით – გამარტივებული შესყიდვა;

2.3. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2540 (ორიათასხუთასორმოცი) ლარს, ყველა გადასახადის გათვალისწინებით;

2.4. კლასიფიკატორის კოდი: CPV-71200000/712420000;

2.5. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა, მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2014 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

3. მომსახურების შესრულების პირობები

3.1. მომსახურების მიწოდების ვადაა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

3.2. მიწოდების ადგილი: ქ. დუშეთი რუსთაველის ქ. №27.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ნორმებსა და სტანდარტებს;

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდულ კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი;

6. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურება მიერ მომსახურება გაწეულად ჩაითვლება, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ერთჯერადი გადახდის გზით, 5 საბანკო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორსმაჟორული პირობების გარდა მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოყენებული იქნება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან შესრულების (მიწოდების) ვადის გადაცილებისათვის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო თანხის 0.1% - ის ოდენობით.

8.3 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვეში.

8.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.5 თუ შემსყიდველი არ ასრულებს მე-7 მუხლის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) შესასრულებელი სამუშაოების 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით დარღვევის შემთხვევაში;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება.

10. ფორს - მაჟორული სიტუაციები

10.1 ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან შეფერხება არის ფორს - მაჟორული გარემოებების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს - მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გათვალისწინებული ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს - მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდამიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს

ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს - მაჟორული გარემოებების ზეგავლენებისაგან.

10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს–მაჟორული გარემოების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით, რომელიც უნდა დაერთოს ხელშეკრულებას დანართის სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წიასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხაეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილებით – მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილებით შეთანხმება ცვლილებების თაობაზე, ჩაითვლება ხელშკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისათის მთლიანი ან დანარჩენი უფლება–მოვალეობების გადაცემის თაობაზე. აგრეთვე, მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკულებით განსაზღვრული მთლიანი ან დანარჩენი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

12.2 მიმწოდებელს არა აქვს უფლება მხარეთა (შემსყიდველი – მიმწოდებელი – მესამე პირი) წერილობითი შეთანხმების გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობანი.

12.3 უფლება–მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი–მიმწოდებელი–მესამე პირი).

12.4 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14. ფასები

13.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულებების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

13.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

13.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულებების 10%–ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

13.4 ხელშეკრულების ღირებულება შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობით შეთანხმების სახით.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას, წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების სახით უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისთვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უმუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულებას ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა გონივრული შეთანხმებით ან/და მოგვარდეს პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით სამართლიანობის ფარგლებში.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

15.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

15.5 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

18. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:

დუშეთის მუნიციპალიტეტი,
საკრებულოს თავმჯდომარე: /ც. სამსგანაშვილი/

მიმწოდებელი:

ი/მ თამარ ფალავანდიშვილი: /თ. ფალავანდიშვილი/

დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წელს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის № 47

(127 100 ლარი) განკარგულებით 2013 წელს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ განსახორციელებელი

პროექტები:

№	პროექტის (ობიექტის) დასახელება	შესასრულებელი პროექტის სავარაუდო ღირებულება – ლარი	ხარჯთაღრიცხვის ღირებულება – ლარი	შენიშვნა
1.	დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ტერიტორიული ორგანოს სოფელ მლაშის ტერიტორიაზე ყოფილი სასათბურე მეურნეობის საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია	7300	144	
2.	დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ტერიტორიული ორგანოს სოფელ ჩირდილელიაანში მოქალაქე აკაკი სონიშვილის საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციისთვის საჭირო სამშენებლო მასალების კალკულაცია	10600	208	
3.	დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ტერიტორიული ორგანოს სოფელ ჩირდილელიაანში მოქალაქე ნიკოლოზ სონიშვილის საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციისთვის საჭირო სამშენებლო მასალების კალკულაცია	300	5	
4.	დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ტერიტორიული ორგანოს სოფელ საკრამულში მოქალაქე გივი ხოსრუაშვილის საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციისთვის საჭირო სამშენებლო მასალების კალკულაცია	4800	95	

5.	დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ტერიტორიული ორგანოს სოფელ ბაზალეთის ტერიტორიაზე ყოფილი პანსიონატის საცხოვრებელი კორპუსისათვის ახალი სახურავის მოწყობა	37500	728	
6.	დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ტერიტორიული ორგანოს სოფელ ყარსიმაანში მცხოვრები მოქალაქე ლალი კასრაძის საცხოვრებელი სახლის ახალი სახურავის მოწყობა	15681	728	
7.	დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ტერიტორიული ორგანოს სოფელ ჩანადირებში მცხოვრები მოქალაქე მურთაზ ბოდაველის საცხოვრებელი სახლის ახალი სახურავის მოწყობა	3800	93	
8.	დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ტერიტორიული ორგანოს სოფელ ბაგაში მოქალაქე ოთარ კედელაშვილის საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციისთვის საჭირო სამშენებლო მასალების კალკულაცია	1500	30	
9.	დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ტ.ო. სოფელ ჩანადირებში მცხოვრები ლამარა ჭინჭარაშვილის საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციისთვის საჭირო სამშენებლო მასალების ნუსხა	5801	141	
10	დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ტ.ო. სოფელ ჩუბინიანთკარში მცხოვრები ნუგზარ არაჩაშვილის საცხოვრებელი სახლის სარემონტოდ საჭირო სამშენებლო მასალების ნუსხა	6362.87	140	
11.	დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ტ..ო. სოფელ ბაგაში მცხოვრები ალბერტ ჩოხელის საცხოვრებელი სახლის სარემონტოდ საჭირო	4378	88	

	საშშენებლო მასალების ნუსხა			
12.	დუშეთის მუნიციპალიტეტის მჭადიჯვრის ტ.ო. სოფელ ჭილურტში მცხოვრები დავით ფეიქრიშვილის საცხოვრებელი სახლის სარემონტოდ საჭირო საშშენებლო მასალების ნუსხა	6196	122	
13.	დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ტერიტორიული ორგანოში ბაზალეთის ტბის ტერიტორიაზე სანიჩბოსნო სკოლის რეაბილიტაცია	22793	442	
	სულ ლარი:	123822	2540	